საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030130649172320

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/11631 **24 / სექტემბერი / 2020 წ.**

COVID-19-ის დიაგნოზის საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირებისთვის მობილიზებულ კლინიკებს

როგორც მოგეხსენებათ, COVID-19 პანდემიის პერიოდში სამინისტრომ შექმნა COVID-19 მონიტორინგის ელექტრონული მოდული stopcov.moh.gov.ge, რომელშიც მუშაობა კლინიკებს ევალებათ „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 31 დეკემბრის № 674 საქართველოს მთავრობის დადგენილების დანართი №20-ის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტით, რომლის მიხედვითაც კლინიკა ვალდებულია უზრუნველყოს მის ბაზაზე დარეგისტრირებული ბენეფიციარების, ასევე შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების შედეგების აღრიცხვა COVID-19-ის მონიტორინგის ელექტრონულ მოდულში ყოველდღიურად, დღეში ორჯერ (დილის 10:00 სთ-სა და საღამოს 20:00 სთ-ზე).

გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული და დაავალოთ შესაბამის პასუხისმგებელ პირებს სისტემაში დროულად მოახდინონ პაციენტების შესახებ ინფორმაციის ატვირთვა და განახლება, რაც მოიცავს პაციენტის კლინიკაში შემოსვლას, კლინიკურ მიმდინარეობას, ხელოვნური სუნთქვის ვენტილატორის საჭიროებას, რეანიმაციულ საწოლზე განთავსების საჭიროებას, COVID-19 დიაგნოსტიკის შედეგებს, პაციენტის მიერ კლინიკის დატოვებას შესაბამისი მიზეზით (გამოჯანმრთელება, რეფერალი, კარანტინში გადაყვანა, თვითიზოლაცია, ლეტალობა).

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური